

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წლიურ ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე.

1. საქართველოს ეროვნულ არქივში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე შემოსულია 11450 განცხადება და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით 20 განცხადება, რომელზეც მიღებულია 18 დადებითი, 2 უარყოფითი გადაწყვეტილება,

2. 11386 შემთხვევაში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებამ მოითხოვა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია;

12 განცხადებაში მოთხოვნილი იქნა საქართველოს ეროვნული არქივის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და მასში განხორციელებული ცვლილებები, ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ ინფორმაცია და მასში დაგეგმილი ცვლილებები;

52 განცხადებაში მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია სხვადასხვა თემაზე: მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცების შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე 1970-1990 წწ. მოქმედი საჯარო სკოლების შესახებ, რაიონების, ქალაქების, ქუჩების სახელების გადარქმევის შესახებ და ა.შ.;

3. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლების მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 6746 შემთხვევაში, 4704 შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

ა) 1005 განცხადების შემთხვევაში მოთხოვნილი დოკუმენტები საქართველოს ეროვნულ არქივში არ ინახებოდა.

ბ) 3245 განცხადების შემთხვევაში ორგანიზაცია/მოქალაქე საქართველოს ეროვნულ არქივს აწვდიდა არაზუსტ მონაცემებს, რის გამოც შეუძლებელი იყო ეროვნულ არქივში ინფორმაციის მოძიება.

გ) 454 განცხადების შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ არქივში მოთხოვნა შემოსული იყო 1993 წლის მინსკის კონვენციის დარღვევით, რის გამოც წერილები ადრესატებს განუხილელად უკან დაუბრუნდა.

დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ეროვნული არქივის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის და საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოებისა და ცენტრალური არქივების დირექტორიების მიერ.

4. 2013 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ არქივში მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა არ გამოვლენილა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული არქივის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდებოდა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. საქართველოს ეროვნული არქივი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა "ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-3 თავის მოთხოვნებს.

6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არცერთხელ გასაჩივრებულა.

პატივისცემით,